

საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედებითი აქტივობების (გამოფენა, კონცერტი, სადამო) ხელშეწყობა

კონკურსის პირობები:

1. კონკურსის მიზანი

საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენა-პოპულარიზაცია, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა ჩართულობის ამაღლება. საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა შემოქმედებით აქტივობას (გამოფენა, კონცერტი, სადამო) ხელი შეეწყობა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ღონისძიებიდან „ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა“.

2. კონკურსის პირობები

- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია იურიდიულ პირს;
- კონკურსში დაიშვება კონკურსანტის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი მხოლოდ ერთი პროექტი;
- სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 8 000 (რვა ათასი) ლარს;
- პრიორიტეტი მიენიჭება თანადაფინანსების მქონე პროექტებს, ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდა თაობის წარმომჩენ პროექტებს;
- კონკურსში გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს და რეკომენდაციებს შეიმუშავებს საკონკურსო კომისია.

3. საკონკურსო პროექტების წარმოდგენის პირობები

- პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ კონკურსისათვის შემუშავებული განაცხადის ფორმის შესაბამისად და მას უნდა ერთოდეს წერილი მინისტრის სახელზე კონკურსის დასახელების მითითებით და საკითხის მოკლე აღწერით. პროექტი და თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს CD ვერსიის სახითაც, მასზე მითითებული უნდა იყოს იურიდიული პირის სახელწოდება;
- პროექტს უნდა ერთოდეს თანხმობის წერილი იმ ორგანიზაციიდან, სადაც დაგეგმილია ღონისძიება;
- თანადაფინანსების მქონე პროექტს უნდა ერთოდეს თანადაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. კონკურსის განრიგი

- საკონკურსო პროექტების მიღება იწყება 2017 წლის 1 მარტიდან;
- პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 30 მარტის 17:00 სთ;
- საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების განხილვა შედგება 2017 წლის 3 აპრილს;
- კონკურსის შედეგები გასაჯაროვდება 2017 წლის 6 აპრილს;

- კონკურსში გამარჯვებული პროექტი უნდა განხორციელდეს 2017 წლის ბოლომდე;
- კონკურსზე შემოტანილი მასალა უკან არ ბრუნდება;
- პროექტი და ყველა თანდართული მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

კონსულტაციები გაიმართება ყოველ ოთხშაბათს, 14:00 საათიდან 18:00 საათამდე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტში (ტელ: 299 04 80).